ქვეყნის ეკონომიკური და საგარეო პოლიტიკის ეკოლოგიზაციის აუცილებლობა

პარმენ ლემონჯავა
ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე აშკარად შეიძლება ითქვას, რომ გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი კაცობრიობის ეკოლოგიური თვითშეგნების ფორმირების თვალსაზრისით.

ამჟამად ყველასთვის ცნობილს წარმოადგენს თერმობირთვული კატასტროფის საფრთხე, რადგან კაცობრიობისათვის მისი საშინელი შედეგები გაცნობიერებულია. მიუხედავად ამისა, ამჟამად ღრმად გასათავისებელია მეორე დიდი საფრთხე, რომელიც ემუქრება სამყაროს. ეს არის საფრთხე და მისი შედეგები, რომელიც ბოლო დრომდე არ იყო ყოველმხრივ შეფასებული. გამოკვეთილად და მკაფიოდ სეიძლება აღინიშნოს, რომ დღეს გარემოს გაჭურჭყიანების მძიმე შედეგები ემუქრება სამყაროში სიცოცხლეს. საბერძნეთის ძველ ცნობილ მეცნიერთა დიდი პლეადის წარმომადგენლები ქსენოფონტე, პლატონი, არისტოტელე და სხვები ადრიდანვე ატყობინებდნენ საზოგადოებას ეკოლოგიური საშიშროების სესახებ და მიუთითებდნენ, რომ კაცობრიობამ თავისი მოქმედების გაუანალიზებლობის შედეგებით შეიძლება თავი დაიღუპოსო. მართლაც დღეს XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის პირველ ნახევარში მსოფლიოში დიდი მწვავე ეკოლოგიური კრიზისის მხილველნი გავხდით და თუ დროზე არ იქნა მიღებული ზომები, პროცესი შეიძლება შეუქცევადი გახდეს. აქედან გამომდინარე, საჭიროა უპირველესად ადამიანის უმთავრესი უფლების – სიცოცხლის დაცვა, გარემოს გაჯანსაღება.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია და უნდა ითქვას, რომ მსოფლიოს როგორც დაბალი განვითარების, ისე მაღალი განვითარების ქვეყნებში ეკონომიკური და საგარეო პოლიტიკის დონეზე ძლიერ გვიან იქნა შემეცნებული ეკოლოგიური პრობლემების საარსებო მნიშვნელობა. **სწორედ ამიტომაა, რომ დღეს საფუძვლიანად და სამართლიანად ისმის მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკური და საგარეო პოლიტიკის ეკოლოგიზაციის საკითხი.**

წარმოების ეკოლოგიზაცია საერთოდ ნიშნავს ბუნების დაცვას, მისი რესურსების რაციონალურად გამოყენებასა და კვლავწარმოებას. ამ მიზნით ბუნების, მისი რესურსების გაუმჯობესებული კვლავწარმოების პროცესი მოითხოვს არ დაირღვეს ეკოლოგიური სისტენის ნორმალური ფუნქციონირება, არ დაეკარგოს მას თვითაღდგენის უნარი, რადგან ეს უკანასკნელი საზოგადოების ნორმალური არსებობის, განვითარებისა და ფუნქციონირების აუცილებელი ბუნებრივი პირობაა.

ზემოთაღნიშნულ წარმოების ეკოლოგიზაციის პირობათა მნიშვნელოვანი ღონისძიებების სამეურნეო პრაქტიკაში განხორციელება მოითხოვს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ეკოლოგიზაციას. **ეკონომიკური პოლიტიკის ეკოლოგიზაცია ნიშნავს წარმოების ეკოლოგიზაციას, რაც მოითხოვს გაფართოებული კვლავწარმოების პროცესში ეკოლოგიური დატვირთვის შესაძლებლობის გათვალისწინებას.**

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ხილული ფაქტია, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საწარმოო შესაძლებლობა ამჟამად დიდია, მაგრამ თუ როგორ გამოვიყენებთ ამ პოტენციალს, ამაზე ბევრად არის დამოკიდებული ბუნების, როგორც საზოგადოების არსებობის და განვითარების – ბუნებრივი პირობების დაცვა. **აქედან გამომდინარე, ცხადზე უცხადესია ერთმანეთს უნდა შეუხამდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და ბუნების დაცვა და მისი რესურსების რაციონალური კვლავწარმოება.** დღეს იშვიათად მოიპოვება ბუნებრივი რესურსი, რომლის გამოყენება პირდაპირ შეიძლებოდეს შრომის წინასწარი გაშუალების გარეშე. აქედან გამომდინარე, საზოგადოებასა და ბუნებას, მის რესურსებს შორის ურთიერთდამოკიდებულების გაანალიზების დროს მხედველობაში მისაღებია ის, რომ ბუნებაზე ადამიანის ზემოქმედებას გააჩნია როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური საბოლოო სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. აღიარებულია, რომ ეკონომიკური ზრდა და განვითარება ამაღლებს მატერიალური დოვლათის გამრავლების საფუძველზე საზოგადოე-

ბის სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას, **მაგრამ მხოლოდ მომხმარებლური დამოკიდებულება წარმოების ბნებრივი ფაქტორებისადმი, მათი გამოყენების პროცესში რაციონალიზაციის ღონისძიებათა გაუტარებლობის შემთხვევაში იწვევს ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევას, რომლის აღდგენა მოითხოვს დამატებით შრომის დიდ დანახარჯებს.** აქედან გამომდინარე, დასახული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანის გადაწყვეტის დროს, უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რომ ეკოლოგიურ დატვირთვამ არ დააკარგვინოს ბუნებრივ სისტემას თვითაღდგენის უნარი. **ამიტომ ჩემი აზრით აუცილებელია სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მენეჯმენტის პროცესში დასახული ამოცანის განხორციელების შედეგად მისაღწევი შედეგის მთლიანობაში შეფასებისას მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ბუნების თვითაღდგენის უნარის შენარჩუნების საკითხს. ამ თვალსაზრისთ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ახალ მიმართულებად უნდა წარმოვადგინოთ რესურსების მოხმარების ეკოლოგიზაცია, რომელიც გულისხმობს გათვალისწინებული შედეგების მიღებისათვის მოხმარებული ბუნების, მისი რესურსების გამოყენების რაციონალიზაციას.** ამ უკანასკნელის არსებითი არსი ის არის, რომ მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება არ უნდა მოხდეს ეკოლოგიის დაზიანების, მისდამი არაგონივრული დამოკიდებულების ხარჯზე.

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, წარმოება ემყარება ისეთ ახალ ტექნოლოგიურ პროცესებს, რომელიც ძლიერ ტვირთავს ბუნებას და აქტიურად ზემოქმედებს მის თვითაღდგენის უნარზე. ეს ზემოქმედება იმდენად ძლიერია, რომ მომავალში ბუნებრივ რესურსებს გაუთვალისწინებელ ზიანს მიაყენებს, თუ არ იქნება ღონისძიება მის საწინააღმდეგო გატარებული. ამ თვალთახედვით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მსოფლოს ნებისმიერი ქვეყნის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის ახალი მიმართულების – **მოხმარების ეკოლოგიზაციას, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს ახალი სრულყოფილი ტექნოლოგიური პროცესები.**

ქვეყანას შეიძლება ჰქონდეს დიდი რაოდენობით ბუნებრივი რესურსები, მაგრამ მაინც მნიშვნელობა აქვს მოხამრების ეკოლოგიზაციის პროცესს, რაც საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მყარ პირობას წარმოადგენს. თავითავად ისეთი ტექნოლოგიური პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფენ რესურსების კომპლექსურად და ეფექტიანად გამოყენებას წარმოადგენენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წამყვან მიმართულებას.

ეკონომიკური პოლიტიკის ახალი მიმართულების – მოხმარების ეკოლოგიზაციის პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო გზას წარმოადგენს წარმოების დანიშნულებით გამოყენებული რესურსების განმეორებით გამოყენება. ამ უკანასკნელის განხორციელების საშუალებას იძლევა წარმოების ნარჩენების გადამუშავების შედეგად გამოყენება ან რეგენერაცია.

წარმოების ნარჩენების გადამუშავების ან რეგენერაციის შედეგად გამოყენება კი ორმხრივი ეფექტიანი გზაა, რადგან ჯერ ერთი, დიდდება რესურსების რაოდენობა, ხოლო მეორეს მხრივ, მცირდება ნარჩენების რაოდენობა, რომელიც აჭუჭყიანებს გარემოს.

მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ეკოლოგიზაცია გულისხმობს ყველა ასაკის თაობის ეკოლოგიური განათლებით აღზრდასაც.

ბუნების დაცვის მნიშვნელობის ღრმად შემეცნებისათვის აუცილებელია, ამ დარგში სიახლის ცოდნა. ამ მიზნით ბუნების დაცვის საკითხები უთუოდ უნდა იქნეს შეტანილი განათლების სისტემის ყველა რგოლში, რათა სრორად იქნას გაგებული ბუნების დაცვის, მისი რესურსების რაციონალურად გამოყენებისათვის საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანები. ბუნების დაცვის დარგში განათლების საკითხების სწორად გადაწყვეტამ, არსებითი გავლენა უნდა მოახდინოს თანამედროვე სამყაროში ეკონომიკური, პოლიტიკური და ეკოლოგიური მოვლენების ურთიერთდამოკიდებულების გონივრულ გააზრებაზე. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ბუნების დაცვის სერიოზული პრობლემების გლობალურ დონეზე გადაწყვეტის მნიშვნელოვან წანამძღვარს. ეკოლოგიური პრობლემის ჯეროვან მეცნიერულ დონეზე დაყენების საბოლოო მიზანია მოსახლეობამ შეიგნოს ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნების, მისი რესურსების როლი და მნიშვნელობა.

ეკოლოგიის დარგში განათლება წარმოადგენს არსებობის მანძილზე განუწყვეტლივ შესასრულებელ ამოცანას, რადგან ის უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანსა და ბუნებას შორის უწყვეტ ურთიერთობასთან. ეკოლოგიის დარგში განათლების საკითხების გადაწყვეტა მოითხოვს შემუშავდეს სასწავლო პროგრამა, რომელშიც დასახული იქნება ცოცხალი სამყაროს არსე-

ბობისათვის ბუნების როლისა და მნიშვენლოობის, მისი აუცილებლად დაცვის საჭიროების დამასაბუთებელი საკითხები. **ეკოლოგიის დარგში განათლების საკითხები შეტანილ უნდა იქნეს როგორც საშუალო სკოლების, პროფესიულ და უმაღლესი სასწავლებლების, როგორც ბაკალავრის, მაგისტრატურის, ისე დოქტორანტურის სასწავლო პროგრამაში.**

საქართველოში ეკოლოგიური პროფილით მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების მიზნით მიზანშეწონილია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შეიქმნას სპეციალიზებული განყოფილება, რომელიც უხელმძღვანელებს საერთოდ ეკოლოგიური განათლების სისტემას.

მოსახლეობაში ეკოლოგიური განათლების ეფექტიანობის მიღწევისათვის საჭიროა გამოიყენოთ ყველა საშუალება, რომელიც გააჩნია საზოგადოებას. ამ მიზნით ეფექტიანია განათლების სხვადასხვა ფორმასთან ერთად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოყენება.

იმისათვის, რომ ეკონომიკის განვითარების პროექტის შედგენისა და მისი განხორციელების დროს ყურადღება მიექცეს როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ ეფექტიანობას, საჭიროა ეკოლოგიური განათლების მქონე სპეციალისტების მომზადება. **ამიტომ, პირველ ეტაპზე, მიზანსეწონილია, უპირველეს ყოვლისა, ეკოლოგიური განათლება მიეცეს ეკონომისტებს, ინჟინერ-კონსტრუქტორებს, არქიტექტორებს, სამედიცინო პერსონალს, მასწავლებლებს, ადმინისტრატორებს და ა.შ. ამ მიზნით მიზანშეწონილია ყველა უმაღლეს სასწავლებელში იკითხებოდეს ბუნების გამოყენების ეკონომიკაში ლექციების კურსი. ახლო პერსპექტივაში კი მიზანშეწონილია ყველა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში გაიხსნას „ბუნების გამოყენების ეკონომიკის" სპეციალობა.** ეს უკანასკნელი კი შესაძლებელს გახდის ეკონომიკის ყველა დარგს, მათ დანაყოფებს ჰყავდეთ ამ დარგში სპეციალისტები და ჰქონდეთ სპეციალური სამსახური. ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებათა სისტემის გატარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს, სხვა მომენტებთან ერთად, საზოგადოებასა და ბუნებას შორის ურთიერთობის პრობლემის მეცნიერულ დონეზე გადაწყვეტას.

მართალია საზოგადოების ყველა წევრს ეკოლოგიური განათლება და აღზრდა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკოლოგიური პრობლემის გადაწყვეტაში, მაგრამ მაინც ბუნების დაცვის, მისი რესურსების კვლავწარმოების საქმიანობაში მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მეცნერებატევადი უნარჩენო საწარმოო ტექნოლოგიაზე გადასვლა. საჭიროა პრაქტიკულად, ისეთი ახალი ეკოლოგიური აზროვნების ჩამოყალიბება, რომელიც დაეყრდნობა ეკოლოგიური საქმიანობის დიალექტიკურ დასაბუთებას, რაც შესაძლებლობას შექმნის დღენიადაგ სრილყოფილ იქნეს ბუნების დაცვისა და გამოყენების პროცესი.

ბუნების დაცვის საქმეში უდიდესი აღმზრდელობითი და პრაქტიკული მუშაობის გაწევა შეუძლია ქვეყნის მრავალ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, მათ შორის პროფკავშირებს, ყველა დაწესებულება-ორგანიზაციას, რომელიც ემსახურება ბუნების დაცვის, მისი რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და გაფართოებული კვლავწარმოების საქმეს.

მიზანშეწონილია უფრო გაძლიერდეს და ქმედითუნარიანი გახდეს იმ ორგანოების მუშაობა, რომლებიც ხელმძღვანელობენ ბუნების, მისი რესურსების გამოყენებისა და კვლავწარმოების საკითხებსა და ვალდებულნი არიან კონტროლი განახორციელონ ამ დარგში მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის დასახულ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებაზე.

საყოველთაოდ ცნობილი პროცესია ის, რომ გარემოს გაჭუჭყიანების ფაქტორების მოძრაობას ერთი ადგილიდან მეორეში ვიზა არ სჭირდებათ, ამიტომ მსოფლიო მასშტაბით, მათი გაუვნებლობის წინააღმდეგ ბრძოლა ერთობლივადაა საჭირო. სხვანაირად რომ ვთქვათ, დაუხანებელ ამოცანას წარმოადგენს მსოფლიოს საერთაშორისო ეკოლოგიური პოლიტიკის შემუშავება, რომელიც დაეფუძნება ცალკეული ქვეყნების საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა სისტემას. ამ მიზნის განხორციელებისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატივით 1992 წელს ჩატარებულ ეკოლოგიურ პრობლემებზე სპეციალურ კონფერენციას, სადაც მყარად იდგა „ეკოლოგიური ეთიკის საერთაშორისო კოდექსის" შემუშავების საკითხი და მიღებული იქნა ბუნების დაცვისა და მისი რესურსების რაციონალურად გამოყენების გლობალური სამოქმედო პროგრამა.

ნებისმიერი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ეკოლოგიზაცია ნიშნავს პლანეტარული მნივნელობის მქონე უნიკალური ბუნებრივი ზონების დაცვის და მათი ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ღონისძიებების განხორციელებას და სამართლებრივი რეჟიმის შემუშავებას. აღნიშნ-

ულ ღონისძიებათა სისტემა უნდა ითვალისწინებდეს ბუნების დაცვის მიმართულებით ახალი პროგრესული ტექნოლოგიების შექმნისათვის ერთობლივი თანამშრომლობის საფუძველზე საერთაშორისო მექანიზმების შემუშავებას და ტექნოლოგიების რეცეპტების თავისუფალი გაცვლის გზით გამოყენებას. ყოველივე აღნიშნულის განხორციელება უზრუნველყოფს პლანეტარული მასშტაბით გარემოს გაჯანსაღების გზით ადამიანთა უმთავრესი უფლების – სიცოცხლის უფლების დაცვას.

დაბოლოს განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ეკოლოგიზაციის პროცესი უნდა ითვალისიწნებდეს სამხედრო საქმიანობის შესაძლებელობის ფარგლებში შეზღუდვას, არა მხოლოს ომის საშინელი შედეგების აცილებისათვის, არამედ ბუნების დაცვისა და გაჯანსაღებისათვის.

NECESSITY OF ECOLOGIZATION OF FOREIGN POLICY AND NATIONAL ECONOMY

PARMEN LEMONJAVA
professor

In the end of XX century and the first part of XXI century there was a great ecological crisis in the world and if needed measures are not taken in time the process may become irreversible. Hence, in my opinion, nowadays the issue of world national economies and foreign policy ecologization is raised quite in good faith.

Ecologization of economic policy means consideration of possibility of ecologic protection in the process of expanded reproduction.

A new development of economic policy must be considered ecologization of resource consumption.

Ecologization of any country foreign policy means carrying out arrangements for protection of natural zones of unique global importance, rational use of their natural resources and working out legal regimes. In this purpose it is necessary to exchange and use jointly worked out recipes of international mechanisms and technologies.